

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა- განმარტებითი შენიშვნები.....	6-15

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სამება“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები“) შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
2. გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
3. განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

1. კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
2. ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
3. სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 11 სექტემბერს.

დირექტორი:

/ გიორგი ბაჟუნაიშვილი /

მთ. ბუღალტერი:

/ ეკატერინე ყაზაიშვილი /

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	12	316,230	128,965
სულ გრძელვადიანი აქტივები		316,230	128,965
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები	11	140,435	29,975
მოკლევადიანი მოთხოვნები	10	302,297	203,295
მარაგები	13	74,535	11,374
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	477,197	958,756
წინასწარ გაწეული ხარჯები	14	0	6,115
სულ მიმდინარე აქტივები		994,463	1,209,515
სულ აქტივები		1,310,693	1,338,480
კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	12,173
გრძელვადიანი სესხი			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	12,173
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	15	20,455	70,667
მიღებული ავანსები		488,286	84,746
საგადასახადო ვალდებულებები	16	158,478	269,068
დარიცხული ვალდებულებები			
გადასახდელი ხელფასები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		667,228	424,481
სულ ვალდებულებები			
კაპიტალი			
საემისიო კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
რეზერვები და დაფინანსება			
გაუნაწილებელი მოგება	17	643,465	901,826
სულ კაპიტალი		643,465	901,826
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,310,693	1,338,480

დირექტორი:

/ გიორგი ბაჟუნაიშვილი /

მთ. ბუღალტერი:

/ ეკატერინე ყაზაიშვილი /

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	18	2,830,878	3,268,792
შრომის ანაზღაურება		399,758	77,638
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		2,584,176	2,333,564
რეალიზებული ძირითადი საშუალებები		0	0
ქონების გადასახადი		2,204	1,510
საიჯარო ქირა		0	0
ცვეთა და ამორტიზაცია		59,695	47,194
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	19	31,142	28,926
საოპერაციო მოგება		(246,097)	779,960
საპროცენტო ხარჯი		(109)	(2,614)
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(114)	(221)
მოგება/ზარალი ფინანსური საქმიანობიდან		(223)	(2,835)
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი		(246,320)	777,125
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18	32,100	41,691
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	18	44,141	0
მოგება/ზარალი გადასახადებამდე		(258,361)	818,816
მოგების გადასახადი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება		(258,361)	818,816

დირექტორი:

/ გიორგი ბაჟუნაიშვილი /

მთ. ბუღალტერი:

/ ეკატერინე ყაზაიშვილი /

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი, 2020	0	901,826	901,826
მოგება წლის განმავლობაში	0	(258,361)	(258,361)
მოგების განაწილება დივიდენდებად	0	0	0
31 დეკემბერი, 2021	0	643,465	643,465

დირექტორი:

/ გიორგი ბაჟუნაიშვილი /

მთ. ბუღალტერი:

/ ეკატერინე ყაზაიშვილი /

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები:

შპს „სამება“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2013 წლის 27 თებერვალს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციის შესაბამისად. მისი რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქობულეთი, ს. ხუცუბანი; საიდენტიფიკაციო კოდი: 446955689.

„კომპანიის“ დირექტორია ბატონი გიორგი ბაჟუნაიშვილი, (პ/ნ: 61004048240), ხოლო დამფუძნებლები არიან:

გიორგი ბაჟუნაიშვილი, (პ/ნ: 61004048240), ფლობს 100%-ს.

შპს „სამება“ არის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებისა და ნაგებობების სადემონტაჟო და სამშენებლო კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობაა: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა - ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი: 41200.

2. ურთიერთდამოკიდებული პირები:

შპს „სამება“-ს 2021 წლის განმავლობაში ურთიერთდამოკიდებულ პირებთან ოპერაციები არ ჰქონია.

3. მომზადების საფუძველი:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები,

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორისი“. პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციის სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშგების მიხედვით.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

4. სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა:

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება როგორც ფინანსური შემოსავლები და ხარჯები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგებაში გამოყენებულია შემდეგი კურსები: აშშ დოლარი - 3,0976 , ევრო- 3,5040.

5. საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად:

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

- აქტივი მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი გამოყენება ან რეალიზება 1 საანგარიშო წელზე ნაკლებ ვადაში და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

- გრძელვადიანია აქტივი, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია 1 საანგარიშო წელზე მეტი ვადით და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

- ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ყველა დანარჩენს ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

7. შეფასების და წარდგენის ვალუტა:

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარმოსადგენი ვალუტაა.

8. აქტივები:

კომპანიის აქტივების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მიმდინარე აქტივები, რომელიც წლის ბოლოსთვის მთელი აქტივების 90 % შეადგენს. მიმდინარე აქტივები, თავის მხრივ შედგება, ფულის და მათი ექვივალენტებისგან, გადახდილი ავანსებისგან, წინასწარ გაწეული ხარჯებისგან, მოკლევადიანი მოთხოვნებისაგან და სასაქონლო- მატერიალური მარაგებისაგან.

კომპანიის გრძელვადიანი აქტივები შედგება ძირითადი საშუალებებისაგან.

9. ფული და ექვივალენტები:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე ბანკის მიერ დროებით დაკავებულ საგარანტიო თანხებს:

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ნაღდი ფული საღაროში	493	443,221
ფული საბანკო ანგარიშებზე	71,376	415,535
დაკავებული საგარანტიო თანხა	405,328	100,000
სულ	477,197	958,756

10. მოკლევადიანი მოთხოვნები:

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება გროვდება, როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სავაჭრო მოთხოვნები	302,297	203,295
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	0	0
სულ	302,297	203,295

11. გადახდილი ავანსები:

კომპანიის გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით, ასევე მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს, რომელიც შემცირებულია მასთან დაკავშირებით წინასწარ ავანსის სახით ჩათვლილი დღგ-ს თანხით.

გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
--	-----------------------	-----------------------

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	155,530	34,704
მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებზე		
ჩათვლილი დღგ	(15,095)	(4,729)
სულ	140,435	29,975

12. ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება:

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავების მიზნით, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაცია არ ხდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება ამ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯებისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები:

ოფისის აღჭურვილობა 5 წელი;

მანქანა-დანადგარები 5 წელი.

ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა - ნაგებობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება							
დეკემბერი 31, 2020	-			233,890	1,338	0	235,228
მატება	-			247,153	0	0	247,153
კლება	-			0	0	0	0
დეკემბერი 31, 2021				481,044	1,338	0	482,381
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
დეკემბერი 31, 2020	-			105,166	1,097	0	106,263
მიმდინარე წლის ცვეთა	-			59,488	207	0	59,695
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე				0	0	0	0
დეკემბერი 31, 2021	-			164,848	1,304	0	166,152
ნარჩენი ღირებულება	-						
დეკემბერი 31, 2020	-			128,723	242	0	128,965
დეკემბერი 31, 2020	-			316,196	34	0	316,230

13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები:

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შემენის (ნასყიდობის) ფასს; საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსათვის დასაბრუნებელი გადასახადებისა); სატრანსპორტო დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები და სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება, როგორც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების ნაწილი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
დაუმთავრებელი წარმოება	74,535	11,374
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	0	0
სულ	74,535	11,374

14. წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ქონების გადასახადის ავანსი	0	284
წინასწარ გადახდილი საპენსიო შენატანი	0	5,831
სულ	0	6,115

15. მოკლევადიანი ვალდებულებები:

მოკლევადიანი ვალდებულებების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ან აქვს აღებული ვალდებულება შეასრულოს თავის მოვალეობებს საქონლის მოწოდებისას ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. კომპანიის კრედიტორულ

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

დავალიანებებს წარმოადგენს მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოშობილი საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით.

მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	14,455	70,667
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6,000	0
სულ	20,455	70,667

16. საგადასახადო ვალდებულებები:

კომპანიას საანგარიშო პერიოდის ბოლოს საგადასახადო ვალდებულებად უფიქსირდება 269,068 ლარი.

17. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი:

კომპანიის დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 901,826 ლარს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დივიდენდად განაწილებულმა მოგებამ შეადგინა 0 ლარი. 2021 საანგარიშო წელს აკუმულირებულმა წლიურმა ზარალმა შეადგინა (258,361) ლარი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს 643,465 ლარს.

18. შემოსავლის აღიარება:

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია საქონლის/მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს. შემოსავალში გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

კომპანიის შემოსავლების ნაწილი შეადგენს საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს.

არასაოპერაციო შემოსავალი

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

	31 დეკემბერი, 2021
საშემოსავლო გადასახადის შეღავათი	32,100
სულ	32,100

19. ხარჯების აღიარება:

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლობის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
საპენსიო შენატანი	13,814	8,524
საკონსულტაციო ხარჯი	15,302	14,296
ბანკის მომსახურება	2,026	6,106
სულ	31,142	28,926

არასაოპერაციო ხარჯი

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დარიცხული ჯარიმა	2,588	0
საგადასახადო საურავი	41,553	
სულ	44,141	0

20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები:

შპს „სამება“

ს/კ 446955689

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამტებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2022 წლის 12 აპრილის N 9216 ბრძანებით დაიწყო შპს „სამება“-ს (ს/ნ 446955689) საქმიანობის გასვლით საგადასახადო შემოწმება. შესამოწმებელი პერიოდი მოიცავდა გადასახადის გადამხდელის შეუმოწმებელ პერიოდს (ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით ბოლო შემოწმების პერიოდიდან), რაც მოიცავს 01.01.2019-დან 01.02.2022-მდე საანგარიშო პერიოდებს. აღნიშნული შემოწმების შედეგად 2022 წლის 26 ივლისის საგადასახადო მოთხოვნა № 083 – 23-ით კომპანიას დაერიცხა დამატებით გადასახდელად 483721.99 ლარი. დღეის მდგომარეობით კომპანიას დაწერილი აქვს განცხადება საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მიზნით, რომლის თანახმად კომპანიის გადასახდელი გადასახადი იქნება 300,000 ლარი და ველოდებით პასუხს.

მსს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2018 წელი.

დირექტორი:

/ გიორგი ბაჟუნაიშვილი /

მთ. ბუღალტერი:

/ ეკატერინე ყაზაიშვილი /